# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

#6 (61) 2016


## უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭო აირჩია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრები აირჩიეს. თსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალიძის განცხადებით, პირველ ეტაპზე „არჩევნების შედეგად აკადემიური საბჭოს 13 წევრი აირჩა: ირმა ხარშილაძე, ირინე ქურდაძე (იურიდიული ფაკულტეტი), ნოდარ ბელქანია, ამირან ბერძენიშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი ღვედაშვილი, ომარ ფურთუხია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამარ აბაშიძე, რუსუდან სანაძე (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინე მინდორაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), პაატა იმნაძე, ნინო ოკრიბელაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს მხოლოდ

გაგრძელება მე-2 გვ.

## კანცლერის არჩევნები უნივერსიტეტში

თსუ კანცლერს 2016 წლის 8 ივლისამდე აირჩევს, სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის(სენაგი) წარდგენის ბოლო ვადად. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილების თანახმად, აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად: დოკუმენტური მონაცემების შეფასება - 2016 წლის 16 ივნისიდან არა უგვიანეს 21 ივნისისა; პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2016 წლის 1 ივლისიდან არა უგვიანეს 5 ივლისისა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერობის კანდიდატთა რეგისტრაცია 13 მაისს დასრულდა. რეგისტრაცია გაიარა ექვსმა კანდიდატმა: ვახტანგ ანთიამ, შოთა ჭანტურიძემ, ალექსანდრე ჩხიტაურმა, იოსებ მასურაშვილმა, არჩილ კუკულავამ, ნუნუ ოვსიანიკოვამ.

## დარეჯან თვალთვაძე: „ჩემი უმთავრესი ფუნქციაა უნივერსიტეტში მმართველობითი ორგანოები იყოს კანონიერად და ლეგიტიმურად არჩეული“

20 მაისს ერთი თვე შესრულდა თსუ-ს მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად პროფესორ დარეჯან თვალთვაძის არჩევიდან. უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და განსახორციელებელ საქმეებზე ქალბატონ დარეჯანს გასულ კვირას ვესაუბრეთ:

**– თქვენი არჩევის პირველივე დღეებში აღნიშნეთ, რომ თქვენი მთავარი გამოწვევა რამდენიმე არჩევნების წარმატებით ჩატარება იქნებოდა.**

– რექტორის მოვალეობის შემსრულებლის უმთავრესი ფუნქციაა უნივერსიტეტში მმართველობითი ორგანოები იყოს კანონიერად და ლეგიტიმურად არჩეული და ყველაფერი წარიმართოს იქითკენ, რომ პროცესი საბოლოოდ დასრულდეს რექტორის არჩევნებით. იმ დროს,

როცა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები ჩატარდა, უნივერსიტეტს, ჯერ კიდევ, არც აკადემიური საბჭო ჰყავდა, რადგან განაცხადი, რომ საბჭო დაიშლებოდა, უკვე გაკეთებული იყო.

უკვე ჩატარდა აკადემიური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები. ჩატარდა დღემდე მოქმედი წესით, რომლის თანახმადაც საბჭოში არის 15 ადამიანი, 2-2 წარმომადგენელი თითოეული ფაკულტეტიდან და რექტორი (ან რექტორის მოვალეობის შემსრულებელი).

თუმცა, მეორე დღესვე დავიწყეთ მუშაობა ჩვენს წესდებაში შესატან ცვლილებათა მთელ პაკეტზე, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნე-

გაგრძელება მე-3 გვ.

## თურქეთის მათემატიკოსთა კავშირის ჯილდო ქართველ მეცნიერს

გვ. 4

## დასაქმების ფორუმი - რეალური შანსი სტუდენტებისთვის

თამთა ჭრიკიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია, რამდენიმე დღის წინ მას თავდაცვის სამინისტროდან დაურეკეს და სამინისტროში პრაქტიკის გავლა შესთავაზეს. ის მრავალ აპლიკანტში შერჩეულ ორ სტუდენტს შორის მოხვდა.

თამთამ თსუ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში მიიღო მონაწილეობა და თავისი რეზიუმე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს დაუტოვა. რეზიუმეს დატოვებიდან ერთ საათში კი სამინისტროს წარმომადგენლებმა გასაუბრებაზე დაიბარეს.

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ კურსდამთავრებულის სადიპლომო ნამუშევარმა საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალის პრიზი მოიპოვა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელეხელოვნების სპეციალობის კურსდამთავრებულის, იზა თითბერიძის სადიპლომო ნამუშევარი, ამ ცოტა ხნის წინ, საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა.

„მხოლოდ ერთი კოცნა“ მოკლემეტრაჟიანი ფილმია, რომელიც იზამ 2015 წელს გადაიღო, წელს კი ბანგლადეშის სტუდენტურ ფესტივალზე გააგზავნა და ჟიურის სპეციალური პრიზი, „სპეციალური აღნიშვნა“ დაიმსახურა.

„ნებისმიერ სტუდენტურ ფესტივალში მონაწილეობა, იქნება ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა რეჟისორების პროფესიული ზრდისთვის. ფილმის არჩევა საკონკურსო პროგრამაში თავისთავად არის გამარჯვება. ამასთანავე ამ ფილმმა მიიღო ჟიურისგან სპეციალური აღნიშვნა. ფესტივალზე დარეგისტრირებული 768 ფილმიდან 81 აირჩა, რომელთა შორის მოხვდა

გაგრძელება მე-3 გვ.

## „ამომავალი ლიდერი“ საქართველოდან

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 10 ახალგაზრდა „ამომავალი ლიდერის“ ტიტულით დააჯილდოვა.

არჩევანი შეჩერდა იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც მათსავე ქვეყანაში ინოვაციური გზებით ცდილობენ სოციალური ცვლილებების მიღწევას და არსებული პრობლემების მოგვარებას.

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, 23 წლის ნინო ნანიგაშვილი მათ შორის ერთ-ერთია. ნინო ამჟამადაც აგრძელებს საქმიანობას უნივერსიტეტში. ის თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ISET-ის კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინტერესი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნინო საქართველოში პირველი ტექნოლოგიური ჯგუფის „Google Developer Group”-ის დამფუძნებელია. მან შექმნა კომპიუტერული თამაშები ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისთვის და მიიღო მონაწილეობა 400-მდე ღონისძიების ორგანიზებაში.

**ნინო ნანიგაშვილი**

**ინტერესები :**

– დაინტერესებული ვარ ტექნოლოგიებით და უფრო მეტად იმ პროექტებით, პროგრამებითა და ინიციატივებით, სადაც სასარგებლო სოციალური

გაგრძელება მე-3 გვ.

## თსუ სტუდენტი ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია

გვ. 4

# სტუდენტური დაპირისპირება უნივერსიტეტში

მაისის ბოლოს უნივერსიტეტში სიტუაცია კვლავ დაიძაბა. 24 მაისს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში „აუდიტორია 115“-ისა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს შორის დაპირისპირება მოხდა. „აუდიტორია 115“-მა აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, სახელმწიფო უწყებებთან დაწყებული მოლაპარაკებები შეწყვიტა. მათ, სახელმწიფო წარმომადგენლებს 25 მაისის 18:00 საათამდე, საჯაროდ, თვითმმართველობის გაუქმების შესახებ განცხადების გაკეთებისკენ მოუწოდეს.

უნივერსიტეტის ეზოში „აუდიტორია 115-ის“ წევრებმა სტუდენტური თვითმმართველობის გასაუქმებლად ხელისუფლებისთვის მიცემული დროის ამოწურვის შემდეგ აქცია გაიმართეს.

„იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლებისთვის მიცემული დრო თვითმმართველობის გასაუქმებლად რეაგირების გარეშე დასრულდა, ჩვენ თავად გავაძევებთ თვითმმართველობას უნივერსიტეტიდან“ – განაცხადეს „აუდიტორია 115-ის“ წევრებმა. აქციის მონაწილეებმა პირველი კორპუსის ეზოდან თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური ოფისისკენ გადაინაცვლეს და, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალის გამოყენებით შეავიდნენ თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალურ ოფისში, 213-ე აუდიტორიაში, მათ ასევე დაიკავეს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ოფისი 303-ე აუდიტორიაში.

აქციის მონაწილე სტუდენტებს თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე შეხვდა, მან „აუდიტორია 115-ის“ წევრებს სიმშვიდისა და კანონიერების დაცვისკენ მოუწოდა, „კარგად მესმის თქვენი ემოციური მდგომარეობა, მთლიანობაში სიტუაცია დაძაბულია, ის, რაც ეხლა აქ ხდება არ არის კარგი, მოიქეცით ისე, როგორც ეკადრებათ სტუდენტებს“ – განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ. მისი განცხადებით, 24 მაისს ორ სტუდენტს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რაზეც უნივერსიტეტში დაიწყო დისციპლინარული მოკვლევა. „თუკი ადგილი ჰქონდა სხვა დარღვევას, ამაზე შესაბამისმა ორგანოებმა უნდა იმსჯელონ“, – აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ფაქტისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ასევე კონფლიქტში მონაწილე მხარეების მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ვიდეოჩანაწერის გასაჯაროების გადაწყვეტილებაც მიიღო. მასალაში ჩანს დაპირისპირების გარემოებები. ინციდენტი მოხდა 17.27 სთ და დაახლოებით 3-4 წუთში განიმუხტა თსუ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიერ. გარდა ამისა, კონფლიქტის განმუხტვას შეეცადნენ ფაქტის შემსწრე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა სტუდენტები. გაზეთის საბეჭდად გაშვების დროისთვის აქციის მონაწილე სტუდენტები დაკავებულ აუდიტორიებში რჩებოდნენ.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომაც. „დამკვიდრებული სამუშაო ფორმატიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის სტუდენტების მხრიდან ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია. ყველა დაინტერესებულ მხარეს კვლავ ვთავაზობთ დაუბრუნდნენ სამუშაო რეჟიმს. „ - განაცხადა სამინისტრომ და მხარეებს დიალოგის გაგრძლებეისკენ მოუწოდა.

# დარეჯან თვალთვაძე: „ჩემი უმთავრესი ფუნქციაა უნივერსიტეტში მმართველობითი ორგანოები იყოს კანონიერად და ლეგიტიმურად არჩეული“

*პირველი გვერდიდან*

ლოვანი საკითხი იყო სწორედ აკადემიური საბჭოს გაფართოვების საკითხი. სენატმა უკვე დაამტკიცა ცვლილებები, რომლებიც გულისხმობს ფაკულტეტების წარმომადგენლების გაზრდას სამამდე, რაც ნიშნავს, რომ ამ უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოში 21 პროფესორი იმუშავებს; გარდა ამისა, საბჭოში აირჩევიან წარმომადგენლები თსუ სამეცნიერო ინსტიტუტებიდან, რომელთა რაოდენობა დღეისთვის 16-ია. ჯამში 38 კაციანი აკადემიური საბჭო უნდა გვყავდეს სავარაუდოდ მაქსიმუმ 1 ივლისამდე;

პარალელურად გამოცხადებული იყო კონკურსი კანცლერის თანამდებობის დასაკავებლად. 13 მაისს დასრულდა განაცხადების მიღება. კონკურსში მონაწილეობის სურვილი ექვსმა კანდიდატმა გამოთქვა.

აკადემიურმა საბჭომ, რომელმაც პირველი სხდომა 16 მაისს ჩაატარა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაცვლად 16 მაისს დასაწყები შერჩევის პროცედურისა, განხილვები და გასაუბრებები გადაევადებინა საბჭოს სრულად დაკომპლექტებამდე - 1 ივლისამდე, იმ ვარაუდით, რომ ამ დროისთვის გაფართოებული საბჭო უკვე არჩეული იქნება.

18 ივლისს უკვე დამთავრებული უნდა იყოს კანდიდატის შერჩევის პროცესი, რის შემდეგაც სენატი განიხილავს აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატურას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანცლერის არჩევის თაობაზე.

კიდევ ერთი არჩევნები, რომელიც წინ გველის - უნივერსიტეტის სენატის არჩევნებია. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს არანაკლებ გაორმაგებული რაოდენობისა უნდა იყოს სენატში. თუ ამჟამად სენატში 42 წევრი გვყავს, ბუნებრივია, 38 კაციანი აკადემიური საბჭო როცა იქნება, სენატის წევრთა რაოდენობაც უნდა გაიზარდოს.

არჩევის წესი სავარაუდოდ არ შეიცვლება, თუმცა ამჯერად სამეცნიერო ინსტიტუტებს აუცილებლად ეყოლებათ წარმომადგენლები სენატში. ამას გარდა, როგორც იცით, სენატის მესამედი არის სტუდენტობა, შესაბამისად, სენატის წევრთა საერთო რაოდენობა რომ გაიზრდება, გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობაც. ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, ზაფხულის ცხელ დღეებში იქნება გადასაწყვეტი.

ჩვენ როგორც კი გვექნება წესდება, რომელიც აკადემიური საბჭოს მომდევნო არჩევნების ჩატარების საშუალებას მოგვცემს, ჩავატარებთ საბჭოს ახალ წევრთა არჩევნებს.

სანამ ეს საბჭო არ დაკომპლექტდება სრულად, მანამდე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც კანცლერის არჩევნებს, რექტორის არჩევნებს უკავშირდება, ახლა მოქმედი საბჭო ვერ მიიღებს.

**– არჩევნებამდე უნივერსიტეტში ცხოვრება მაინც აქტიურად მიდის და, ალბათ, არის ბევრი გამოწვევა, რომელიც საჭიროებს მყისიერ გადაწყვეტას.?**

– რასაკვირველია, ამის გარეშე უნივერსიტეტი წარმოუდგენელია. აქ ყოველ დღე ხდება ძალიან ბევრი საინტერესო და ჩვეულებრივი რამეც – ლექციები, სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებშიც ჩვენი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები არიან ჩართული. ეს არის საკმაოდ დატვირთული გრაფიკი, არა მხოლოდ რექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის, არამედ ადმინისტრაციისთვისაც. ახლა საკმაოდ რთული პერიოდი და ამ პერიოდის დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის ერთ აზრზე მყოფი ადამიანების გუნდი, რომლებიც მზად არიან უფრო მეტი გააკეთონ ამ დროს, ვიდრე ჩვეულებრივ აკეთებდნენ ხოლმე. ეს მართლაც ექსტრემალური სიტუაციაა, რომელიც ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში შეიქმნა.

**– ექსტრემალური სიტუაცია ახსენეთ. სტუდენტებს შორის დაძაბულობა ისევ გრძელდება, ძირითადი ოფიციალური მიზეზი არის სტუდენტური თვითმმართველობის არსებობა და მისი რეფორმირების აუცილებლობა.**

– დაძაბულობა ისევ არსებობს, თითქოს გარკვეული პერიოდი უფრო მშვიდ რეჟიმში გადავიდა ყველაფერი – მუშაობა მიმდინარეობდა განათლების სამინისტროსთან, პრემიერ-მინისტრიც ჩართული იყო ამ დიალოგში. მუშაობა მიმდინარეობდა „თვითმმართველობების შესახებ“ ახალ კანონში არსებული ჩანაწერების ცვლილებაზე. იყო უფრო რადიკალური მოთხოვნებიც, რომ საერთოდ ამოღებული ყოფილიყო ეს თემა. ამ პროცესში ჩართული იყვნენ, როგორც „აუდიტორია 115-ის“ წარმომადგენელი, ისე თვითმმართველობის სტუდენტები. თუმცა, 24 მაისს მოხდა ინციდენტი, რომელმაც გვაჩვენა, რომ ეს მშვიდი რეჟიმი მხოლოდ დროებითი იყო. ისევ გაიზარდა დაძაბულობის ხარისხი. დაიწყო ორ სტუდენტს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით და მერე რამდენიმე სტუდენტს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ნაწილობრივ განმუხტა ეს ფაქტი ჩვენმა დაცვის სამსახურმა, თუმცა სიტუაცია ბოლომდე არ დარეგულირებულა. სტუდენტები აპირებენ აქციის გამართვას. ჩვენ, რასაკვირველია, ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას, მით უმეტეს სტუდენტებს შორის. არსებობს ვიდეოთვალის ჩანაწერები, რომელთა შესწავლა დაწყებულია. ასევე არის სოციალური ქსელის მასალებიც. ეს ყველაფერი იქნება შესწავლილი, გადაეცემა განსახილველად იმ სამსახურებს, რომელთაც ევალებათ სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**– თქვენ სტუდქალაქში იყავით მისული. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ და შეიძლება თუ არა ამ მიმართულებით რამის გაკეთება?**

– შთაბეჭდილება ნამდვილად არ იყო სასიამოვნო. მე მანამდეც ვიცოდი რა სიტუაცია იყო იქ, მაგრამ როცა ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავ, გაცილებით უფრო ფართო შთაბეჭდილება გექმნება საკმაოდ რთულ ვითარებაზე, რომელიც იქ არის შექმნილი. ჩვენ ბაგების სტუდქალაქში გვაქვს ორი შენობა, რომელიც არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და არა უნივერსიტეტის ბალანსზე. ამ შენობებში არ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები მათი აშენების პერიოდიდან – გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. გარკვეული დროით ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ აფხაზეთიდან დევნილები, შემდეგ მათი დაკმაყოფილება მოხდა სხვა საცხოვრებლით. ეს კორპუსი დაუბრუნდა უნივერსიტეტს, მაგრამ იგი ძალიან მძიმე მდგომარეობაში.

სერიოზული სარემონტო სამუშაოებია განსახორციელებელი, რასაც ძალიან დიდი თანხები სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, უნივერსიტეტს არ გააჩნია. სტუდქალაქს ისედაც დიდი დანახარჯები აქვს კომუნალური გადასახადების სახით; პრობლემაა ისიც, რომ შენობა უნივერსიტეტის ბალანსზე არ არის. ჩვენ მიემართეთ ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სამსახურს, რათა დაჩქარდეს ამ ქონების უნივერსიტეტისთვის გადმოცემის პროცესი. პარალელურად ვამზადებთ პროექტს ინფრასტრუქტურის განვითარების გრანტის დაფინანსების მისაღებად. თანხის გარდა, პრობლემა იქნება ის, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს ერთი კორპუსი მაინც უნდა დავცალოთ, რაც 300-მდე სტუდენტის განსახლებას გულისხმობს. თუმცა, მთავარი მაინც დაფინანსების მოპოვებაა. უნივერსიტეტი სტუდენტური საცხოვრებლის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენ ძალიან კარგი სტუდენტები გვყავს რეგიონებიდან, რომლებიც უბრალოდ ვერ ახერხებენ თბილისში სხვა საცხოვრებელი ადგილის დაქირავებას.

**– ამის შესახებ ყველა ჟურნალისტი გეკითხებათ და მეც უნდა გკითხოთ – თქვენ უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პირდაპირ არჩევნებში აგირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. აპირებთ თუ არა კენჭი იყაროთ რექტორის თანამდებობაზე?**

– თუ ლაპარაკია სურვილზე, მე ეს სურვილი არ მაქვს და არც მაშინ მქონდა, როცა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესარჩევად გამოცხადდა არჩევნები. მოხდა ისე, რომ მივიღე არჩევნებში მონაწილეობა, რადგან ჩავთვალე, რომ უნივერსიტეტისთვის ასე იქნებოდა უკეთესი. მე შემეძლო ჩემი როლი მეთამაშა ამ კრიზისული სიტუაციის მოგვარების თვალსაზრისით. ერთი თვე გავიდა 20 მაისს, რაც მე რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვარ. ეს ერთ თვე, ალბათ, იყო ყველაზე რთული პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. მე ნდობა გამომიცხადა უნივერსიტეტმა და ეს ნდობა არ არის იოლი მოსაპოვებელი. მე მადლობას ვუხდი ჩემს ამომრჩეველს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ ნდობის გამართლება არის დიდი პასუხისმგებლობა. მთელი ჩემი ფიქრი, გრძნობა, აზრი, ემოცია და ენერგია არის მიმართული იმისკენ, რომ ეს ნდობა არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, ანუ გავაკეთო ის, რისთვისაც მე ამირჩიეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. მერწმუნეთ, რომ ყოველი ჩემი დღე სწორედ იმ სამოქმედო გეგმის ნაწილია, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს რექტორის არჩევნები. რა იქნება შემდეგ, მე ამაზე ფიქრი არც კი შემიძლია.

# უნივერსიტეტმა აკადემიური საბჭო აირჩია

*პირველი გვერდიდან*

ერთი წევრი გამოვლინდა - დავით გოცირიძე. ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს აპოლონ სილაგაძემ და ქეთევან ხუციშვილმა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალიძის ინფორმაციით, 791 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში 666-მა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის 84,1%-ია. თსუ საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნების პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციების (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „განათლების რეფორმის მხარდამჭერთა ასოციაცია“) წარმომადგენლები და ინდივიდუალური დამკვირვებლები აკვირდებოდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლის კონსტანტინ სალუქვაძის განცხადებით „აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალედ და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.“

თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე რეგისტრაცია 35-მა კანდიდატმა გაიარა. აქედან ერთი კანდიდატი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის გამო მოიხსნა, ხოლო ერთმა - თავად გააუქმა განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების 11 მაისს ჩატარების შესახებ შესაბამისი ბრძანება თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ 20 აპრილს გამოსცა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი აკადემიური საბჭო მუშაობას 16 მაისიდან შეუდგა. თსუ აკადემიურ საბჭოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე წარმომადგენლის გამოსავლენად კენჭისყრა 18 მაისს გაიმართა. განმეორებით კენჭისყრაზე აპოლონ სილაგაძემ 86 ხმა, ხოლო მეორე პრეტენდენტმა - ქეთევან ხუციშვილმა 64 ხმა მიიღეს, შესაბამისად საბჭოს წევრი აპოლონ სილაგაძე გახდა.

უახლოეს პერიოდში საბჭოს ახალი წევრები შეემატებიან. უნივერსიტეტის სენატის მიერ მიღებული ახალი წესის შესაბამისად, საბჭოს წევრთა რაოდენობა 38-მდე განისაზღვრება. ფაკულტეტების გარდა საბჭოს წევრების წარმოდგენის უფლება თსუ წევრ სამეცნიერო ინსტიტუტებსაც მიეცემათ.

# დასაქმების ფორუმი - რეალური შანსი სტუდენტებისთვის

*პირველი გვერდიდან*

**თამთა ჭრიკიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, ძირითადი სპეციალობა პოლიტიკის მეცნიერება:**

„დასაქმების ფორუმის შესახებ სოციალური ქსელის საშუალებით შევიტყვე. ვნახე, რომ ფორუმზე წარმოდგენილნი იქნებოდნენ, როგორც კერძო კომპანიები, ისე საჯარო უწყებები. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დამაინტერესა სამინისტროების წარმომადგენლობამ, ვინაიდან, საკმაოდ რთულია საჯარო სექტორში კარიერის დაწყება, დასაქმების ფორუმი კი ამის რეალურ შანსს იძლეოდა.

ფორუმი საკმაოდ საინტერესოდ იყო ორგანიზებული. საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა სივრცეები ერთმანეთისგან გამოჯნული იყო. დამსაქმებელთან ურთიერთობა სასიამოვნოდ წარიმართა, ვინაიდან ისინი გვაცნობდნენ მათ პირობებს, ჩვენს სამომავლო პერსპექტივებს და ერთდაერთი, რაც სტუდენტებს დაგვრჩენოდა, იყო რეზიუმეს ჩაბარება ან, როგორც რამდენიმე სამინისტრომ გვირჩია, hr.gov.ge–ზე დარეგისტრირება და სასურველი აპლიკაციის ონლაინ შევსება. შესაბამისად, სასიხარულო იყო ის ფაქტი, სტუდენტების დამსაქმებლებთან მისვლის ნაცვლად, ამდენი დამსაქმებელი მოვიდა ჩვენთან შემოთავაზებების გასაცნობად.

იმ დღიდან, როდესაც დასაქმების ფორუმის შესახებ გავიგე, ძირითადად საჯარო სექტორზე ვიყავი კონცენტრირებული. რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენელმა გვირჩია, რომ CV-ის დაგოვება არ იყო საჭირო და ელექტრონულად შეგვეძლო მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე დარეგისტრირება. შესაბამისად, ჩემი რეზიუმე მხოლოდ ორი სამინისტროს წარმომადგენლობასთან – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსთან დავტოვე. ფორუმის დაგოვებიდან ერთ საათში დამიკავშირდნენ თავდაცვის სამინისტროდან და მთხოვეს გასაუბრებაზე მისვლა.

თავდაცვის სამინისტრომ სულ ექვსი სტუდენტი აარჩია, საიდანაც, გასაუბრების შემდეგ პრაქტიკის გასავლელად უნდა დარჩენილიყო ორი სტუდენტი, ერთ–ერთი კი აღმოვჩნდი მე. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის საჯარო სექტორში გამოცდილების მიღება, მით უმეტეს, სტუდენტისათვის,

*თამთა ჭრიკიშვილი*

თუმცა დასაქმების ფორუმის საშუალებით ნამდვილად გამიმართლა. ამჟამად ვაგროვებ საჭირო დოკუმენტაციას და მალე დავიწყებ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

სასარგებლო და მასტიმულირებელია ასეთი ფორუმების მოწყობა, ვინაიდან აშკარაა, რომ ამ ღონისძიებას აქვს შედეგი და რეალურად საქმდებიან სტუდენტები. შესაბამისად, ვისურვებდი, შესაძლებლობების ფარგლებში, ხშირად გაიმართოს ასეთი ღონისძიებები და ბევრ სტუდენტს მიეცეს გამოცდილების მიღების საშუალება.

ჩვენს უნივერსიტეტს ნამდვილად ჰყავს ისეთი სტუდენტები, რომლებიც ნებისმიერ პოზიციაზე საუკეთესოდ გამოავლენენ თავს.“

ფორუმზე წარმოდგენილმა კომპანიებმა და ორგანიზაციებმა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიმდინარე და სამომავლო ვაკანსიები გააცნეს, ესაუბრნენ ორგანიზაციების საკადრო პოლიტიკაზე, მისცეს რჩევები და რეკომენდაციები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით. ორგანიზატორების თქმით, ფორუმი, სავარაუდოდ, შემოდგომაზე კვლავ გაიმართება.

**ხათუნა ცხადაძე სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი :**

„მსგავსი ტიპის ღონისძიებები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით უნივერსიტეტებში ხშირად ტარდება, ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, დამსაქმებლებს ვიწვევთ, რომ დაესწრონ ფორუმს, ჰქონდეთ თავიანთი სტენდი და შეხვდნენ სხვადასხვა სტუდენტს და მეორე მხრივ, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, რომ გარდა ყოველდღიური საქმიანობისა და იმ სერვისებისა, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობთ, მოვიდნენ და სასურველ კომპანიებს, რომლებიც არიან წარმოდგენილი, პირისპირ დაანახონ საკუთარი თავი და შეძლებლობები.

დამსაქმებელთა უმეტესობა დიდი ინტერესით ჩაერთო ფორუმში. საბანკო და სადაზღვევო სფერო იყო ყველაზე მეტად აქტიური.

უშუალოდ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ ყველა სხვა საშუალებასთან ერთად, საერთაშორისო სავაჭრო პალატას, ამერიკის სავაჭრო პალატასა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას ფორუმის შესახებ ინფორმაცია გავუგზავნეთ. ვთხოვეთ, რომ იგი ვებსაიტზე დაედოთ, ან მეილზე გაევრცელებინათ თავიანთ ასოცირებულ წევრ კომპანიებთან.

გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფეისბუქზე სტუდენტებს ვთხოვეთ, რომ მოეწერათ, ან კომენტარებში დაეწერათ მათთვის საინტერესო კომპანიების შესახებ. შემიძლია გითხრათ, რომ ასობით კომენტარით ერთიანი სია შევქმენით და ამ კომპანიებსაც დავუკავშირდით. ზოგიერთმა მათგანმა არ გამოთქვა სურვილი იმიგომ, რომ იმ კონკრეტულ დროს სტუდენტებისთვის შემოთავაზებები არ ჰქონდათ.

სამინისტროებიც და საჯარო დამსაქმებლებიც, რომელთა დასაქმების ფორუმზე მოწვევა საკმაოდ რთულია, მაქსიმალურად იყვნენ წარმოდგენილი ჩვენს ფორუმზე. მიხარია, რომ თვისობრივად სწორედ ეს იყო ჩვენი დასაქმების ფორუმის ძირითადი, განმასხვავებელი ნიშანი.

ფორუმის დღეს სტუდენტების მხრიდან აქტიურობის თაობაზე ცოტა ვღელავდი. ჩვენ გავავრცელეთ ინფორმაცია ფეისბუქზე, გავუგზავნეთ ყველა სტუდენტს და კურსდამთავრებულს მეილზე, გავუგზავნეთ sms.tsu-ზეც და ტელეფონის ნომრებზეც. იყო ინტენსიური მოძრაობა, ნაკადი არ შეწყვეტილა, მაგრამ მაინც მგონია რომ ძალიან პასიურობენ სტუდენტები. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ვისაც აინტერესებდა და ვისაც უნდოდა, ყველა იყო და მოახერხა მოსვლა და გასაუბრება.

სასწავლო დღეს ჩატარდა ეს ღონისძიება და შესაბამისად, იყვნენ სტუდენტები, რომელთაც ვერ მოახერხეს მოსვლა, ან მოვიდნენ და დამსაქმებელი კომპანიები უკვე წასული დახვდათ. ამიგომ ჩვენ შევთავაზეთ, რომ გადმოეგზავნათ CV და ჩვენც გავუგზავნიდით ინდივიდუალურად მათ სასურველ კომპანიებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ პროექტის შემდგომი პერიოდიც ეფექტიანი იყოს.“ – აღნიშნა მან.

# „ამომავალი ლიდერი“ საქართველოდან

*პირველი გვერდიდან*

მიმნებისთვის ცდილობენ ტექნოლოგიების გამოიყენებას. ასეთი ინიციატივები ქმნიან ისეთ პლატფორმებს, აპლიკაციებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ამარტივებს რთულ პროცედურებს, წყვეტს პრობლემებს, ხალხს ეხმარება და ა.შ.

ჩემი ძირითადი პროფესია სოციოლოგიაა. დროდადრო,რაც უფრო უახლოვდებოდა ჩემი საქმიანობა ტექნოლოგიებს და პროექტებს, რომლებიც მასთან იყო დაკავშირებული, მივხვდი რომ არ გამორიცხავს ტექნოლოგიები სოციოლოგიას. პირიქით, დღეს ტექნოლოგიები თითქმის ყველაფერს განსაზღვრავს. ასე, რომ ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ამ ორი მიმართულებისა და დისციპლინის თანხვედრა.

**კონკურსის შესახებ:**

– ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ჯილდო, რომელსაც ჰქვია “მერგინგ ლიდერს” – “ამომავალი ლიდერი”, არის ინიციატივა, რომლის მიზანიცაა მსოფლიოს მასშტაბით გამოარჩიოს ახალგაზრდები. ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ცდილობენ მოხალისეობრივ, თუ სამოქალაქო ინიციატივებით, ცვლილებები განახორციელონ. სხვადასხვა ქვეყნაში ამერიკის საელჩოს სთხოვეს, რომ დაესახელებინათ თითო წარმომადგენელი.

პირველ რიგში, ძალიან გამიმართლა და მადლობა საქართველოში ამერიკის საელჩოს, რომ ჩააგარა შიდა შერჩევა და ამარჩიეს მე. შემდეგ ეტაპზე, მსოფლიოდან უკვე ათი შეგვარჩიეს, ვიყავით განსხვავებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მქონე ქვეყნებიდან. მაგალითად, გამარჯვებულებს შორის საფრანგეთთან ერთად იყო მალტა, პალესტინა, კენია, ინდონეზია და ა.შ.

**განხორციელებული პროექტები:**

რაც შეეხება პროექტებს, რის გამოც ამარჩიეს, მათი უმეტესობა სწორედ ტექნოლოგიებს უკავშირდება. მაგალითად იყო პროექტი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ელვაში“ ჩავატარეთ 2014 წელს. ეს პროექტი მიზნად ისახავდა კომპიუტერული თამაშებით ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაახლოებას და მათთვის საერთო სივრცის შექმნას.

შევქმენით ასევე თამაში „მშვიდობის პარკი“ და ეს თამაში ხელმისაწვდომია ყველანაირ პლატფორმაზე. ასევე გვაქვს პროექტი,რომლიც გულისხმობს, პროგრამირების საფუძვლების სწავლებას რეგიონების სკოლებში. გუგლის ჯგუფის ფარგლებში მოვაწყვეთ 400-მდე ღონისძიება, მანამდეც საკმაოდ აქტიურად ვიყავი

ჩართული სამოქალაქო საქმიანობაში და ვარ „ფლექსის“ კურსდამთავრებულიც. როდესაც ამერიკიდან დავბრუნდი ვიყავი კურსდამთავრებულთა კოორდინატორი და უკვე 17 წლიდან – ორგანიზატორი. თვეში 5-6 სოციალურ ღონისძიებაში ყოველთვის ვიყავი ჩართული. იქნებოდა ეს დასუფთავება, სისხლის გაღება, ხეების დარგვა, თუ კათარზისში სტუმრობა.

**კონკურსის შეფასება:**

ეს პროგრამა წელს დაიწყო და ჩვენ ვართ პირველი ნაკადი. ძალიან ემოციური და დადებითი დღე იყო ნამდვილად. პირველ რიგში, იმიგომ რომ მაღალი დონის ღონისძიება მოაწყვეს, იყვნენ მდივნის თანაშემწეები, დარბაზი სავსე იყო ელჩებით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებით.

ნამდვილად ბევრს ნიშნავდა ჩემთვის ისიც, რომ შევხვდი დანარჩენი 9 ქვეყნის ძალიან საინტერესო წარმომადგენლებს, მათ გვერდით ყოფნა და მათთან ერთად ამ ჯილდოს მიღება იყო დიდი გამოცდილება, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

ჩემთვის ყველაზე განსაკუთრებული და ემოციური იყო ის, რომ ათეულში მოხვდა საქართველო. ამ პროგრამის ფარგლებში, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ძალიან ხშირად გაიჟღერა საქართველოს სახელმა. ვაჩვენეთ, რომ საქართველოში არიან ახალგაზრდები, რომლებიც კარგ საქმეებს აკეთებენ.

**მიზნები:**

ჩემი მიზანია, რომ იმ ცოდნის, გამოცდილებისა და კონტაქტების მეშვეობით, რაც აქამდე დავაგროვე, კიდევ უფრო მეტი გავაკეთო და ჩემი საქმიანობა უფრო ხანგრძლივი გავხადო. მაქსიმალურად მეტი ადამიანი ჩავრთო, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

ყველაზე დიდი ოცნებაა შევქმნათ ისეთი სივრცე,სადაც უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია დაუკავშირდება ტექნოლოგიებს და უფრო მეტი კომპანია, რომელიც მოღვაწეობს ტექნოლოგიებში, დაუკავშირდება სოციალურ საკითხებსა და პრობლემებს. მოხდება იმ ყველაფრის თანხვედრა, რაშიც მე ვარ ჩართული და რასაც მეთვითონ ვაკეთებ.

**რჩევები:**

ახალგაზრდებმაც, სანამ სტუდენტები არიან მაქსიმალურად უნდა გამოსცადონ თავიანთი თავი სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა საქმიანობაში. ეს იმისთვისაა კარგი, რომ გაიგონ, რა უნდათ ამ ცხოვრებაში, რა აინტერესებთ, რა გამოსდით და ა.შ

ასევე კარგი იქნება,თუ აქტიურად მიიღებენ მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობას. მოხალისეობის პროცესში ძალიან ბევრ ადამიანს ხვდები. ადამიანებს,რომლებიც შენსავით აზროვნებენ და გაძლევენ დიდ მუხტს, რომ შენ თვითონაც გახდე მათნაირი და მათსავით კარგი საქმეები აკეთო.

# თსუ კურსდამთავრებულის სადიპლომო ნამუშევარმა საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალის პრიზი მოიპოვა

*პირველი გვერდიდან*

იზას ფილმიც.

ფესტივალში მონაწილე სტუდენტები წარმოადგენდნენ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: სამხრეთ კორეა, ისრაელი, უკრაინა, ამერიკის შეერთებული შტატები, ვენესუელა, დიდი ბრიტანეთი, ირანი, მექსიკა, კოლუმბია, ბრაზილია, ინდოეთი, იტალია, გერმანია, სინგაპური, კანადა, უნგრეთი, მაკედონია, ნეპალი, ინგლისი, თურქეთი, ნორვეგია, ავსტრალია, სუდანი, არგენტინა, საფრანგეთი და საქართველო. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ამ ქვეყნების კინოსკოლები ფლობენ ბევრად უფრო მდიდარ ტექნიკურ ბაზას, ვიდრე ჩვენი კათედრა და, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ფილმმა გაუწია კონკურენცია მათ ნამუშევრებს და მიიღო ჟიურის სპეციალური პრიზი. ეს ნამდვილად სასიხარულოა ჩვენთვის“. – აღნიშნავს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელი, პროფესორის ასისტენტი ნინო გელოვანი, რომელიც იზას ხელმძღვანელი იყო.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც იზას ნამუშევარმა პრიზი აიღო. 2014 წელს მისმა ასევე საკურსო ნამუშევარმა „ქალი ძველი სახლიდან“ თბილისში ჩატარებულ მეათე საერთაშორისო ფესტივალზე „სესილი“ დაიმსახურა პრიზი საუკეთესო დებიუტისთვის.

რვაწუთიანი ფილმის „მხოლოდ ერთი კოცნა“, მონაწილეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები არიან. მთავარ როლში ანდრო ამბარცუმიანია, რომელიც თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის თანამშრომელია. იზამ იგი ჯერ კიდევ ხატვის რამდენიმე დისციპლინის სწავლისას გაიცნო. თავდაპირველად სადიპლომო ნამუშევრისთვის სხვა სცენარზე მუშაობდა. თუმცა იმის გამო, რომ ფილმში მონაწილობისათვის შერჩეულმა კანდიდატმა გარკვეული ანაზღაურება მოითხოვა, რისი მიცემაც იზამ ვერ შეძლო და შედეგად სცენარის სხვა, მეორე ვერსია დაიწერა. სცენარზე სტუდენტმა თავის ხელმძღვანელ ნინო გელოვანთან ერთად იმუშავა. ფილმი მხოლოდ ქმედებებზეა აგებული და დიალოგის გარეშე მიმდინარობს. მსახიობების როლი კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ხმის რეჟისორებად მომუშავე ორმა თანამშრომელმა და სტუდენტმა გოგონამ შეითავსეს. გადაღებები კინო ტელეხელოვნების მიმართულების ტექნიკური საშუალებებით განხორციელდა. ოპერატორობას იზას ლექტორი ბესო ორმოცაძე სწევდა.

ფესტივალზე ფილმის გაგზენა ძირითადად ერთმა გარემოებამ გადააწყვეტინა. როგორც ამბობს, მსგავსი ფილმების სიცოცხლის ხანგრძლივობა სრულმეტრაჟიანისგან განსხვავებით საკმაოდ მოკლეა. ისინი ან ინტერნეტში ატვირთვისას რჩებიან მაყურებლის მახსოვრობაში და ისტორიაში, ან - კონკურსებზე წარდგენისას. ინტერნეტ-სივრცეში თავისი ნამუშევრები იზას უკვე ატვირთული აქვს. როგორც წესი, ნამუშევრებს ისეთ ფესტივალებზე აგზავნის, რომელზეც სარეგისტრაციო მოსაკრებელი არაა საჭირო ან ძალზე დიდი თანხას არ წარმოადგენს. „როდესაც არ იცი საერთოდ მიიღებენ, თუ არა საკონკურსო პროგრამაში, ეს გარკვეულწილად არამიზნობრივი დანახარჯია“. - მიიჩნევს იგი. სამომავლოდ მაგისტრატურაში ჩაბარებას და რეჟისურაში ცოდნის გაღრმავებას გეგმავს, მანამდე კი კინო-ტელეხელოვნების მიმართულებაზე ვიდეომონტაჟედ მუშაობს.

# პროფესორ ირაკლი კოვზანაძის წიგნის – „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება“ პრეზენტაცია




11 მარტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ირაკლი კოვზანაძის ახალი მონოგრაფიის – „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება“ პრეზენტაცია გაიმართა.

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ასევე ეწევა აქტიურ პროფესიულ საბანკო საქმიანობას. იგი კარიერული ბანკირია და აქვს საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნების და ევროპის საბანკო სისტემებში მუშაობის 23 წლიანი გამოცდილება. 2012-2015 წლებში პროფესორი ირაკლი კოვზანაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს საპარტნიორო ფონდს.

პრეზენტაციაზე, რომელიც სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა, შეიკრიბა საქართველოს პრაქტიკოს და მეცნიერ ეკონომისტთა ელიტა, სახელისუფლებო, საბანკო-საფინანსო და საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენლები. აქ მობრძანდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე, ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ნოდარ ხადური, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სხვა საპატიო სტუმრები. პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი, ბატონი აზიმ სადიკოვი, ევრობანკის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, ბატონი ბრუნო ბალვანერა და სხვები.

წარმოდგენილი წიგნი არის პროფესორ ირაკლი კოვზანაძის მონოგრაფიათა სერიის გაგრძელება, რომელიც ეკონომიკური კრიზისების ბუნებას, მათი პრევენციისა და დაძლევის სისტემურ ღონისძიებებს ეხება. ნაშრომი ეძღვნება 2007-2009 წლების ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის მკვლევართა გამოკვლევები, კრიზისების დაძლევის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება და გლობალური ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები. „წიგნში მოცემულია ამ კრიზისების მაკროეკონომიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ფაქტორები,“ აცხადებს ირაკლი კოვზანაძე.

პრაქტიკული მასალების საფუძველზე წარმოდგენილია ავტორის საკუთარი შეხედულებები კრიზისების დაძლევის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების გზების შესახებ.

ცალკე პარაგრაფი ეთმობა საქართველოს ეკონომიკის და საბანკო სექტორის განვითარებას და მის პრობლემებს. ნაშრომში კვლევის ცალკე მიმართულებაა სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები, მათი ეფექტიანობისა და საკმარისობის შეფასება. მონოგრაფიაში მოცემულია კონკრეტული მაგალითები ცალკეული ქვეყნების მიერ გაწეული ძალისხმევისა და მიღებული შედეგების თაობაზე და ასევე გაკეთებულია მათი შეფასებაც.

ნაშრომი, რომელიც თავისი ფორმითა და სტრუქტურით ფუნდამენტური მონოგრაფიაა, განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, ასევე ინსტიტუტების და იმ პირებისთვის, რომლებზეც სახელმწიფოს დელეგირებული აქვს ეკონომიკური (გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, ფინანსური, ფულად-საკრედიტო, ფისკალური და ა.შ.) პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა.

# სამეცნიერო კონფერენცია ხოვლეში

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმმა კიდევ ერთ სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებითა და პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით, 23 მაისს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში კონფერენცია „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ ჩატარდა.

სახლ-მუზეუმის აღმინისტრაცია წლებია უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობს და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში. თბილისიდან ჩასულ სტუმრებს აღგილზე კასპის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე და სახლ-მუზეუმის დირექტორი მარინე კოშაძე შეხვდნენ. მათთან ერთად, კონფერენციას უნივერსიტეტის პროფესორები, დოქტორანტები და ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ.

„დღეს ხოვლეში ჩატარებული კონფერენცია ეძღვნება, ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილის საუბილეო წელს, ბატონ ივანეს ხსოვნას და მის ღვაწლს საქართველოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე და მეორე მხრივ, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი ივანე ჯავახიშვილის საქმიანობისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო. ის არა მარტო მეცნიერული კვლევა-ძიებას ეწეოდა, არამედ პრაქტიკულზეც, სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებზეც იყო ორიენტირებული.

ამ მხრივ, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, ფაქტობრივად, შეუსწავლელია, რაც გასაგებია, საბჭოთა პერიოდში მისი სრული იგნორირება ხდებოდადა. დღეს, ამ პოსტ-საბჭოთა პერიოდში უკვე არის შესაძლებელი მისი მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა.“ – განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მალხაზ მაკაბერიძემ.

კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა. მოხსენებები წარადგინეს: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ვაჟა კეშელავამ, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ მაკაბერიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა დავით სართანიამ და ოთარ ჯანელიძემ.

ჩემი მოხსენება ასეთი სათაურის იყო: “სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ივანე ჯავახიშვილი“ მოხსენებაში წარმოვაჩინე მეცნიერებისა და პოლიტიკის კავშირი, სახელმწიფოს მიერ მეცნიერების დაფასების საჭიროება, რაც დღესაც აქტუალურია და მნიშვნელოვანია ჩვენ სინამდვილეში.“ – თქვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ოთარ ჯანელიძემ.

კონფერენცია ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა, დისკუსიაში პროფესორებთან და დოქტორანტებთან ერთად სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. ღონისძიების მიმდინარეობისას ბროშურის „ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი)“ პრეზენტაცია შედგა.

ნაშრომში განხილულია ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 18 და 22 დეკემბერს წაკითხული ორი საჯარო ლექციის შინაარსი. ლექციებისთვის მომზადებული მასალები ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა 1919 წელს საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით დაწერილ წიგნში. ბროშურის დანართში, რომლის ნახვაც მსურველებს თსუ უნივერსიტეტის IV კორპუსის (აუდიტორია 308) ბიბლიოთეკაში შეეძლებათ, წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექციების საგაზეთო ანგარიშები, სომხეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშრებულ ფრაგმენტი და ამავე თემაზე 1925 წელს დაწერილ მოხსენება.

კონფერენციის მიმდინარეობისას დამსწრე საზოგადოებამ არაერთხელ აღნიშნა მუზეუმის სასწრაფო რეაბილიტაციის საჭიროება.

„მინდა აღვნიშნო ის პრობლემები, რომელიც ეხება მუზეუმის სავალალო მდგომარეობას. ვფიქრობ კარგი იქნება, თუ დაინტერესდებიან შესაბამისი ორგანოები, მაინცდამაინც, სრული რეაბილიტაცია, თუ ვერ ხერხდება „ხელი მაინც შეავლონ“. ივანე ჯავახიშვილს ნამდვილად უნდა ჰქონდეს ისეთი სახლ-მუზეუმი, როგორსაც იმსახურებს“ – აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორმა, ლადო ნაფეტვარიძემ.

# თურქეთის მათემატიკოსთა კავშირის ჯილდო ქართველ მეცნიერს

2016 წლის 5 მაისს თურქეთის ქალაქ ელაზიღში გამართულ რიგით მეექვსე სხდომაზე თურქეთის მათემატიკოსთა კავშირის ინიციატივით, თამაზ ვაშაყმაძეს საპატიო ჯილდო „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“ გადაეცა. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, თსუ ემერიტუს-პროფესორს, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი მეთოდების მიმართულების თანახელმძღვანელს, პროფესორ თამაზ ვაშაყმაძეს ჯილდო გამოყენებით მათემატიკაში, კერძოდ, მექანიკის დარგში განვითარებული თეორიისა და უმაღლესი გამოთვლითი მეთოდებისთვის მიენიჭა.

როგორც ჯილდოზე თანდართულ შესაბამის სიგელშია აღნიშნული, თურქული მხარე განსაკუთრებით აღნიშნავს მეცნიერის პიროვნულ თვისებებსა და იმ ძალისხმევას, რომელსაც თამაზ ვაშაყმაძე საერთაშორისო სასწავლო - სამეცნიერო სკოლაში მონაწილეარა მარტო ქართველი, არამედ თურქი მოსწავლეებისათვის მათემატიკის შესაყვარებლად არ იშურებს. გარდა ამისა, აღნიშნულია თურქი ინჟინრებისთვის სტრატეგიული თემების შეთავაზების თვალსაზრისით, პროფესორის მიერ გაწეული დახმარებაც. სიგელს ხელს აწერს პროფესორი ომარ აკინი, მათემატიკოსთა კავშირის ხელმძღვანელი.

დაჯილდოების ცერმონიალის გარდა რამდენიმე დღიან სხდომაზე მონაწილეთა მიერ მათემატიკის ყველა დარგში გაკეთდა მოხსენება. თავად თამაზ ვაშაყმაძის მოხსენება კი გახლდათ „ფართობების გამოთვლის არქიმედის მეთოდის დაზუსტების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების ცერემონიალს წინ წარდგინება უძღვის, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას დასაჯილდოებელი მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მიეწოდება. ჯილდოს მისაღებად რეკომანდაცია თამაზ ვაშაყმაძეს ქართველი მეცნიერების გარდა თურქმა მათემატიკოსებმაც გაუწიეს, საერთო ჯამში სულ რვა პროფესორმა.

# თსუ სტუდენტი ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია

თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, ძალოსნობაში თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა პირველი ადგილი დაიკავა. ირაკლი თანიაშვილმა, როგორც მის წონაში, ისე აბსოლუტურშიც მოიპოვა გამარჯვება. ევროპის ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში, რომელსაც IPSUS-ს ფედერაცია მართავდა, ჩატარდა ქალაქ სტამბულში 19-23 აპრილს. კონკურსი გაიმართა ძალისმიერი სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდში, ბიცეფსზე წონის აწევაში და ა.შ

თსუ იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ირაკლი თანიაშვილი ასე იხსენებს გზას შეჯიბრებამდე:

„სანამ ამ დიდ შეჯიბრზე მოვხვდებოდი დაკავებული ვიყავი ტრენაჟორებზე ვარჯიშით და ერთ დღეს მეგობარმა მირჩია, რომ მონაწილეობა მიმეღო შეჯიბრში „საქართველოს სტუდენტებს შორის ძალოსნობაში“ და მეც გადავწყვიტე გავსულიყავი შეჯიბრზე.

პირველი შეჯიბრი გამარჯვებით დასრულდა, ვაღარებ კონკურენცია ნამდვილად იყო. სულ ცხრანი ვიყავით ჩემ წონით კატეგორიაში. ეს შეჯიბრიც IPSUS-ს ორგანიზებით, განხორციელდა და ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ირაკლი აკვირდებოდა სპორტსმენებს, რომელთაც სამომავლოდ მიიწვევდა თურქეთში, ევროპის ჩემპიონატზე. ეს ეტაპიც წარმატებით გადავლახე და თურქეთში ჩემი ვიზიტიც წარმატებულად დამთავრდა.

იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაკულტეტი ძალიან დიდ შრომას მოითხოვს ვარჯიშისთვის თავის დანებება არასდროს მიფიქრია. ვარჯიში ჩემთვის ანგიდეპრესანტია, რომელიც არასდროს მიშლის ხელს სწავლაში. ამიგომ მიზეზი, რომ ვარჯიშისთვის დრო არ აქვთ ტყუილია, რადგან დღეში საათნახევარი – ორი საათი ყოველთვის შეიძლება გამონახო.

აღამიანმა გონების განვითარებასთან ერთად სხეულიც უნდა განივითაროს, რაც მის ცხოვრებას წააღგება და უფრო ენერგიულს გახდის. თურქეთში გამგზავრება მარტივი არ ყოფილა. მგზავრობა მოითხოვდა, არც თუ ისე, პატარა ხარჯებს. ჩემი სურვილი, გავსულიყავი თსუ-ს სახელით და მიმეღო მონაწილეობა, დაგეგმა და განახორციელა თსუ-ს თვითმმართველობამ, კერძოდ, სპორტის დეპარტამენტმა რომელთაც რეკომენდაცია გამიწიეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

შეჯიბრზე ბევრი კონკურსანტი იყო, მათ შორის, რამდენიმე ცნობილი ბოდიბილდერიც, მინდოდა რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამეკეთებინა, უნივერსიტეტი ღირსეულად წარმედგინა და ეს გამომივიდა.

თსუ-ს სტუდენტებს მინდა ვუთხრა, რომ ნამდვილად უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტის იმედი. ის მაქსიმალურად ყველას შეუწყობს ხელს მიაღწიონ მიზნებს. ბარმაც სტუდენტებს მათ შორის ჩემ ბევრ მეგობარსაც ვურჩევ, რომ დაიწყოთ ფიქრი თქვენს მომავალზე, ბევრს ერთულება ეს გზა, მე კი მათ მინდა ვუთხრა, რომ ეს ერთგვარი გამოცდაა თუ როგორ გარდაქმნათ და როგორ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ. ჯანსაღი ცხოვრება ხომ ჯანმრთელი მომავლის წინაპირობაა.“ – ამბობს იგი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge